თ~დი ნ. ტ. დადიანი.

ზმაკიდურები

ჩვენს მოლვაწეებზე.

ისტორიული მასალები.

გამოცემა მ. ს. ბარკალაიასი.

ქუთაისი.
სტამბა „მეურნის“ რედაქციისა.
1897

მ. ა. ზარკალაიას გამოცემა.

საამღროო გამოცანები

(ზმაკიდურები ჩვენს მოღვაწეებზე)

34175

თ. ნ. ტ. დადიანისა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук Грузии

ქუთაისი
სტამბა „მეურნის“ რედაქციისა.
1897

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1897 года. Октября 8.

ამ აკროსტიხების, ანუ უკეთ ზმაკიდურების წერა თ. ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანმა დაიწყო 1889 წ. და 1891 წ. დაბეჭდა კიდეც გაზ. „იგერიაში“ „არჩილური შვიდ-თავი“-ს სათაურით, რადგან განსვენებულს განზრახვა ქონდა სქართველოს ყველა ასე თუ ისე შესანიშნავ მოღვაწეებზე დაეწერა ამ გვარი „დახასიათება“ და არჩილ მეფესაგით თავისი თანამედროვეები გაერჩია. ამისათვის მას უნდოდა ეს „არჩილური“ შვიდ დიდ თავად დაეყო და შემდეგ გამოეცა ერთ დიდ-წიგნათ, მაგრამ, როგორც სხვა ბევრი სასარგებლო აზრის განხორციელება, არც ეს დაცალდა განსვენებულს. მთელს წიგნს კი ძღვნობდა თ. ილია ჭავჭავაძეს და ამისათვის აქვს კიდეც დაწერილი „წინასიტყვაობათ“ (ეთეანზე) „დაგიწყობ გამოცანებსა ზმაკიდურებით წყობილსაო.“ თუმცა „იგერიაა“-ში ეს წინასიტყვაობა არ დაბეჭდილა, როგორც ბევრი სხვაც ამ წიგნში შეტანილი, რომელთაც ყველას თავ-თავის ადგილ * აქვს დასმული. ჩვენ ამასთანავე საჭიროდ ვიცანით, რომ ზმაკიდურის წერის დროს ცოცხლები და აწ უკვე გარდაცვლებულები † ადგენიშნა და თან კითხვის დროს სიადვილისათვის სხოლიოებში ადწერილთა სახელისა და გვარის ასსნაც ჩაგვერთო.

საზოგადოთ კი ეს წიგნაკი ჩვენი მკითხველებისათვის საყურადღებოთ მიგვაჩნია და ამიტომაც გამოვეცით იგი, სანამ განსვენებულის სრული ნაწერების კრებული არ გამოსულა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც 12 ოქტომბერს 1897 წ. თ. ნ. ტ. დადიანის გარდაცვლებიდან წელიწადი უკვე შესრულდა.

საამდროო გამოცანები.

წინასიტყვაობა.

†* დაგიწყობ გამოცანებსა ზმა-კიდურებით წყობილსა:
იცნობ, კი ვიცი, მართალსა, თვით საქმეთაგან თხრობილსა,
მოიწულვი მისგან, ვით შეჰგავს კაცს გულ-ჩვილსა და ცნობილსა,
იტყებ წასრულსა სიქველეს, გმირობას ძვირ-შესწრობილსა.
ტყვესა ვალის და ნამუსის ესწრო სხვაც ულ-მო ტყვეობა,
რომელ მამცთ ხასიათის რომულიგე მრეობა;
იწყო სიყრმითვე სიმხნისა ელიანს გზასა მრეობა;
სკედ სვდა მუქთვად—სასჯელი, სიკვდილი, მოწამეობა.*)

---

*) დიმიტრის (ყიფიანი).

ა

ავ-კარგისა დაკვირვება მისს ნაწერებს აზის დაღად,
ვარამსა გრძნობს ამ ყოფისას გაგრძნობინებს შენც სადაღად,
ქვეყნის აუგს მწვავად ბასრავს, სიწამხდრესა სახავს მძაღად,
სეტყვას აყრის ბიწს შენამალს, კარგს გიხატავს ცოცხლად, საღად.—
ენის სხარტი, ლექსის დაქსვა ალამაზებს მისგან თქმულებს,
ნაჭირვების გაცხადებით ბევრს კურნებს და ბევრს აწყლულებს,
ტრფიალებას ათამაშებს, ხან აყვარებს, ხან აძულებს,
იწრო ალაგს მარდად გავა, მით ხსნის დრამის შენაკრულებს.[1])

(ცისკარი 1891. N 135)

ალმაფრენითა მწერალი, ენა მზე, ჰაზრ-მახვილია,
ქიდის კიდემდე ცნობილი, ცის ნიჭად მოვლენილია,
ამერ-იმერთა სვის ხატად თავის-თავ გამოჭრილია,
ქილო უქცევი, ლექს-მარჯვე, თვით მოქართულე ტკბილია,
იწყლვის ყრისა წყლულებით,—მისი ნამდვილი შვილია;
სიქადულობა მამულის, მაგრამ... მაინც დევს ცილია![2])

(ცისკარი 1891 წ. N 135)
(ცისკარი 1896 წ. N 3)

ადრე დაადგა წმინდა გზას მოზარდთა განათლებისა,
ლამპარი სამღვთო დაანთო წინაშე ყმაწვილებისა,
ესწრაფვის ყრმათა გააცნოს მადლი ძმობისა მცნებისა,
ქვეყნისა ვალი, სახსარი, წამალი უმეცრებისა;
სწორი აქვს ხედვა საგნისა, ტკბილი წვრთა თვით მოძღვრებისა,
იკურთხოს მისი ნალვაწი—მოშავლის წარმატებისა.[3])

(N 136)

არ გამოადგა სალექსოდ ნივთ-მალმერთებთა აზრები,
ნედლი და უმი მასალით აავსო წიგნის ბაზრები,
ტრფობას ვერ მიხვდა, თუმც ძებნა მოდის ბრძენთ მონასაზრები,

---

[1]) აქვსენტი (ცაგარელი). [2]) ალაკის. [3]) ალექსი ჭიჭინაძე, ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლების ინსპექტორად ნამყოფი.

Ოღონდაც ვერ მოათავსა ბუსთან ქორები მწყაზრები,
ნეტა რად ბოჭა რიყის ქვა, რად გადაყარა ფაზრები!..
სიყრმიდან წერას ჯახიროობს და ვერ სცნო მუზთა მაზ-
რები. [1])

(„ივ." 1891. N 12)
(„ივ." 1890 წ. N 2)

*† არ ეძრახვის არცა ჰაზრი, არც მიხვდომა, არცა წერა:
სადაც იყო ყოვლგან ღირსად ის ალაგი შეიფერა,
არავინ არ შეირიგა, ვინც სად იცნო გაიძვერა,
თუმც ბევრს „კლასში" არ გასულა, ცოდნით ბევრი ვერ
სჯობს, ვერა!...

იტყობდა და ითვისებდა თავის თავად რაც ეჯერა,
ასწავებდა თავს, იწვრთიდა,—ცრუ სწავლით არ გაიბერა;
ნიჭით, ჭკუით და სისწორით ბევრი „ხარბი" გადამტერა,

---

[1]) ანტონს (ფურცელაძე). ეს ზმაკიდური მეტად იწეინა ანტონმა და 1894-ში იყო მგონი, რომ ერთ-ერთ თავის წერილში, რომელთაც „ივერიაში" ბეჭდავ, თ. ნ. დადიანი მოიხსენია მეპატრონეთ და სხვა დამამცირებელი სიტყვებით. თანაც გმობდა ამ უკანასკნელის ტრადიციას და უწუნებდა მწერლობას. ამაზედ თავის დროზედ იყო კიდეც განსვენებულისაგან ბასუხი ლექსად „ივერიაში" გაგზავნილი, მაგრამ მაშინ ეგ ლექსი ვერ იქმნა დაბეჭდილი და ამიტომ მოგვაკვს იგი აქვე:

ანტონმა ისევ იუაშია!
რად მოაგონდა, რა შუაშია?!—
რაცა გინებით შენაცხობია,—
უკადრ-უსამსოდ გლახ-ნაცნობია;
ის არის ქირდვა, ავად-სენება
ის პატეტელეტია და—საგმობია!
რაც რისხვის ქარით მონასხვეტია,
ნაკიტინევი, დანაფლეთია,
გულ-პირი რხოლით მონაბურდავი,
ის ლანძღვა არის, ის პატეტელეტია!

სჯდა ღირსად და ღირსად ადგა:—მუნ ღრმა კვალი დააწერა.[1])

ბ.

† ბევრი კარგი უწერია, დიდი ხნიდან მოღვაწეობს,
არ ივიწყებს არც ოჯახსა, მზარეულსაც კაზმას მწეობს,
რიგს არ აკლებს არც მოთხრობას, ხან კამათშიც იბრძვის,
მხნეობს;

თვით „მეპამფლეტეს“ ვერ შეუტყვია
რა ჭირიც მისთვის თავსა უდვია,
რომ თვით პამფლეტით „თავი ეხინა“,
დაბჭობაში რომ ასე „უტყვია“!
ჩემს გამოცანას ვერ მისწვია,
მისი ლახვარი გულსა ხვია
და ასლა ახრავს, სიბოვის და სწყრება
რომ ჯავრი გულში ვერ დატევია!
თვის დანაკოდარს რადა მისწია,
მითი რომ მიგმო მე ტრადიცია?!
არ იცის სად ყოფს თვის მწყრალ კალამსა!..
ან ეს კალამი რადა ყვიცია!?—
ჩხირს კალმად ხმარობს, მაგრამ როდია,
ხელობს, შიგ გულში დანაკოდია!
დრამებს, რომანებს სწერს თავ-წართმეკით,
მაგრამ გამოდის.—სულ პაროდია!
მწერალთ ცნობაში გზა ნასხლეტია,
ნიჭთა „დამფასად“ მეტის მეტია.
ანტონ, რასაც სწერ, რაც გიწერია
—ან პასკვილია, ან პამფლეტია!
პოეტად ვერ გცნობ რა გინდ მემდურო,
ეს შემიძლია დაგიდასტურო,
სხვებრ, დიდ-პატივს გცემს მაგ შრომისთვისაც
თქვენი ხმის ურჩი და უმსახურო.

[1]) ასათიანს (ლუკა)

ბულბულებრ მღერს ლექსს წყობილსა, ზოგჯერ დრამას მოაზრეობს.
ანბანებსაც არ იზარებს, თვისი ენა იცის კარგა,
ლხინში—ჭირში, ვითა მართებს ქართველ ქალსა,—შეხვდეს—ვარგა!
ერს რა შერჩა ისიც იცის, ისიც, რაცა დაეკარგა.
სულ ეს შინ აქვს წაკითხული—ძვირფასს წიგნთა ედგა ხარგა.[1])

† ბევრი ცოდნის პატრონია, ბევრსა სწერს და ბევრსაც არ კვევს,
არ დაარჩენს შეუტყობლად ვინ სად რას სწერს, რად ვის აწვევს;
ქრონიკონსა წვლილად სინჯავს, უტყუელსა თვისად არჩევს,
რაც გაუა ნელა-ნელა მატიანის კითხვას გვაჩვევს.
არ იჩქარის აზრის დასკვნას, საბუთებს კრებს ნათელს, ცხადებს,
ძირს მიაგნებს, წვერს შეიტყობს და მაშინ კი გააცხადებს,
ერთის მოსმით არ ათავებს განსჯა-განცდას გააკვლადებს,
სარწმუნოა, სამშობლოსი ისტორიას დიდ-ღვაწლს დადებს.[2])



ბარგსაც ატანს, მაგრამ ერთად ლექსს ცოცხლად სწერს განსაწონად,
ალთა-ბალთას არ ეწყობა,—აზრს გამოთქვამს გასაგონად,
ჩაივლის და ამოივლის ენის გორებს მოსაწონად,
ალიაქოთს ყვერდს აუქცევს, არცა შეუდგს ვისმე მონად,
ნელა, მდოვრად საუბრის დროს მსწრაფლ იელვებს ელექტრონად,
არ სჯერდება მარტო ახლებს, ძველთაც იწვევს მოსაგონად.[3])

---

[1]) ბარბაჯეს (ჯორჯაძისა)

[2]) ბაქრაძეს (დიმიტრი).

[3]) ბაჩანა (ფსევდონიმი)

ბევრი საცა-ა იქ ერთვის, აბა რა საკადრისია!
არაკი მელის და ზღვისა მთლად მისი შესატყვისია;
ხან დასწერს გულის მიასაფხანს, ხან უგემო და მქისია,
ტაბლასა გარეთ არიგებს, აშივებს ვინც რომ მისია.
არც საკუთარის კალმით სწერს, ბევრი ნათქვამი სხვისია,
ძალზე ნაკითხი ერევა, ნამეტნად შენათვისია.
ეტყობა მისს აზრს სხვა უსწრებს ნაჩვევი, შენაფისია...
სულ დასცხრეს—ღმერთმა გვაშოროს! თვარა კი დასაკლისია[1])

ბ

(„ივ." 1891. N—130
„ივერია" 1890. N 3)

† ბონება-ვრცელი ქადაგი მუშაკობს სწავლა ხლებული,
ბოლოვანების ტაძარი თვით ღვთისგან ოსტატებული,
ბრძენთა მოძღვართა მოდასე, ამ დროს ნუგეშად გებული,
რისხვით მგრგვინავი ავზედა, კარგზედ მადლ-მოვლინებული,
იგია ქვეყნის მთიები, ზეგარდმო მონათებული,
ენა განმწონი სიმართლით, სიყვარულ შეზავებული,
ლმობიერების მთესველი, სამართლით მოწადებული
სახეა სათნოებათა ქველ-საქმე, აზრ-დიდებული[2])

(„ივ." 1891, N 132
„ივერია" 1890 N 2)

ბაჩენილია სამწერლოდ, სხვა საქმე მას არ ეხდება,
ირჯება სხვა ასპარეზზე, ცოდვილობს, ცუდად წუხდება,
ოარ ნესვსა ისევ კალამი არჩიოს ფუჭად ნუ ცდება,
რაცა გულს ერჩის იგი ქმნას, ნიჭს განზედ რად გაუხტება,

---

[1]) ბასტაძეს (ილია ხონელი).
[2]) გაბრიელს (ეპისკოპოსს).

ბონება მრავლად ნაწვართი ერის წინ ნუ გაუქმდება,
ილვაწოს მოწოდებისებრ ის რწმენა ნუ წაუწყმდება![1])

(03. 1891.

ბარჯა-შრომისა კაცია საქები, მოსაწონარი,
როდესაც მისი ტოლები, ეფრო ბევრი გვყავს მცონარი,
ილვწის გულ-დასმით, დახედვით, გამწეობისა ჰქონარი
გაიტანს ხალისს ბოლომდის საქმეში დაულონარი.
ოკობოდურსა არას სწერს, არც მონაყარსა ქარისა,
ლამაზს და სარგოს დაარჩევს და დროზედ მოსახმარისსა,
სთარგმნის, გამოკრებს, შეადგენს რაცა სჯობს, ვისგან და რისა;
ამისთვის ხვდება მადლობა მამულის შვილთა ჯარისა.[2])

ლ

† ლიდი მამის შვილი არის, ბევრს მოველით მისგან ჩვენა,
აგერ ოთხი ხუთი წლის წინ საიმედო რამ გვიჩვენა;
ვაქეთ, დიდათ დავუმადლეთ, არ ვაკადრეთ არსით წყენა,
იყო გრძნობის წმინდა საზრდო მისი ნახვა და მოსმენა
თარგმანს გვიძღვნის თუ გამოთქმულს, განძი არის და შეძენა,
სულის წარით ყველა უცდის, გაუჭირდათ აწ მოთმენა.[3])

(„ივერია" 1891.
(„ივერია" 1890

დროზედ მჭევრი სიტყვა იცის, წერითაცა სწერს თამამად,
აწინდელი ცხოვრების სვე საზრუნად აქვს და საწამად,

---

[1]) გიორგი (წერეთელი).
[2]) გრიგოლს (ყიფშიძეს).
[3]) დავითს (ერისთავს).

თავისასა არას დასდევს, ეკიდება არა მგამად,
ამ დღის ვარამს მედგრად ებრძვის და მით ყოფა უჩანს
შხამად.[3])

(23. 1891. N 136)

† დიად კარგი კაცი არის, ვერ-ვინ იტყვის მისსა გმობას,
იმას ჩუმად კი ამბობენ, ვერ შესძლებსო ბევრს საქმობას,
მე ფეხის ხმას ვერ ავყვები, არ ვუჯერებ ამ გვარ ბჭობას,
ისიც ხომ კი მოუგონეს—,,ნატრულობსო ბატონ-ყმობას!''
ტარტარა და მეჭორენი ჯორს შეათქმენ შვილის შობას;
რაც უნდა თქვან... მხოლოდ ერთში კი ვუძრახავ ცუდ-მოპ-
ყრობას
იმ საქმისა, იმ შრომისა, რაც ითხოვდა გამტანობას,
სხვებში მხოლოდ ვხედავ მტრობას,—რომ სწამობენ არა-
ფრობას.[4])

დიდება ერის გონების თვალ-წინ უწყვია ამასა,
ოლ-კეც ღვაწლს აწვევს, აგონებს, აყვარებს მამა-პაპასა,
ნარკვევს ასაქმებს საკვლევად, განუწყობს საძევ დამასა,
ისტორიისა ფერადსა წინ უყრის, ვითა ტრამასა;
აწყობს ესეცა რაც ძალ-უძს, სია ნუსხათა წერითა,
გაწმენდს ნელ-ნელა, მგონია, ძველ-წიგნთ დაბუნდულთ მტვე-
რითა,
ოლჭოფობს ზოგჯერ, მაგრამ მეტს რას იქმს ჯერ ,,მზერა-ჭე-
რითა''

---

[4]) დათა (მიქელაძე).

[3]) დიმიტრის (დადიანს).

სხვაგანც რომ მგზავრობს,—კი ვშიშობ—არ გაცდეს სხვა
,,ნაჭერითა!''[1])

(ივერია 1891

დაწყება აქვს საიმედო კილო ძმურად შესაყარი,
უგრძნობლობას გაყინულსა მან შეუნთო ცეცხლი ცხარი,
ტოლ-ამხანაგთ დაანახვა მგელი, მძოვრით გამაძღარი,
უწყალოთა გაუსია აზრის მხედართ მწყობრი ჯარი!..[2])

ე

(ივერია" 1891.

† ენა მისი, წერის გვარი მოგვაგონებს მისს დიდს მამას,
ლომის ლეკვზე რაც შოთამ სთქვა, ის უხდება სწორედ ამას;
ოქროდ ბრწყინავს თვისს სქესს შორის, ამბავს სწერს თუ თარგმნის დრამას;
სხვა ბევრივით არ დაცმუკავს, არც აღმერთებს ჩაცმა-ჭამას.[3])

(ივერია" 1891

ეტყობა ნიჭი კვლევისა და შრომის გულს-მოდგინება;
ფხიზელი ხედვა თან მისდევს, ზედი-ზედ შეეძინება,
თვალიერობა, სიფხიზლე უყვარს არ მოეწყინება,
იძევს მკვირცხლად და გულ-დასმით, აქვს ცოდნა, თან-მოთმინება,
მატიანეთა წყვდიადში ნათელი მით იფინება.
ენასაც ჩალხს რომ გაკრავდეს, ჩვენ უფრო მოგველხინება.[4])

(ივერია" 1891. 6. N

---

1) დონ-იაგო (ფსევდონიმია).= ანასეულიშვილი. ი.
2) დუტუ მეგრელი (ფსევდონიმია)
3) ელოს (ელენე დიმიტრი ყიფიანის ქალი ანტონ დორთქიფანიძის მეუღლე).
4) ეფთიმე (თაყაიშვილი).

3

ვალსა უხდის საჴშობლოსა წერით, თარგმნით, სამსახურით,
არცა ამღვრევს ღვიძლსა ენას უცხო წყობით უსახურით,
ნებაზე თხზავს, სწორად თარგმნის—არ დაათრევს ავტორს ყურით;
ოთხ-ხუთ ენას შეაწონებს, რომ გამოსთქვას მისებურით.[1])

(„ივერია" 1891. N 142.)
„ივერ." 1890. N 2

† ვარსკვლავ-კამკამად ამცმელი ლექსთა მუსიკთა, ხმოვანთა,
ამკობს დიდ-ძეგლთა, ადგილთა, დიდ-პირთა სახელოვანთა,
ხატთა დიდების, ქველობის,—საქმეთა მრავალ-წლოვანთა,
ტაძართა, ციხეთ მტკიცეთა, ველთ, მაღნართ ბაბილოვანთა,
ანგელოსთ იმედ მომთხრობთა, მახარებელთა, ფრთოვანთა,
ნელად, ირაოდ ზედ დაჰფრენს ნატამალთ, ნამკვიდროვანთა,
ბანცხრომით ხვდება იმედსა, იხსენებს გმირთ ახოვანთა;
იგია ნამდვილ სულ-მნთები, გვირგვინი ამ დროს მცხოვანთა.[2])

(„ივ." 1891. N 141.)

ვკითხულობთ მისას ერთმანერთს: „ნეტა რამ დაადუმაო?"
ლექსს ვინღა მოსთხოვს,—უწინაც მუზთ შეჰყურებდა ჩუმაო,
აზრიან ნაწერს რომ გვძღვნობდა, აწ პირი რად მოკუმაო,
დადგა, თუ ყველას არჩია მარტო ქალაქის „დუმაო!"
იქმნება, შაშვის არ იყოს, ალალმა ჩაუფრინაო,
მან დაავიწყა სულ ყველა, რაც გულში ჰქონდა წინაო,
იწყო სხვა გზაზე ტონინი, სხვა ბინა გაიჩინაო;
რატომ?—ოდესმე გონს მოვა და მობრუნდება „შინაო!"[3])

---

[1]) ვინო (მაჩაბელი).
[2]) ვასტანგი (ორბელიანი).
[3]) ვლადიმერ (მიქელაძე) = ვაჟა.

(ივ. 1891. N 143

ზ

ზეცას მისთვის მიუცია რაც ამშვენებს კაცის ტომსა;
ალმაფრენა ჭაბუკისა მას უხდება ფიქრში მდგომსა;
ყურს ახარებს მისი ლექსი, ვით ნავარდი ლეკვის ლომსა;
ეტევება უნაღვლობას, უგონობას, ქვეყნის მხდომსა,
ლუკმა-ლუკმად სწიწკნის მათგან შენალაფავს, სავნო ცომსა,
ილხენს კარგის სიტურფითა, ავს ექადის მარად ომსა.[1])

თ

თავ-გამოდებით ხელ-ყოფა ასხვავებს ამისს შრომასა,
ეთაკილება დაუთმოს დრო ფუჭ-ხმათ გამოდგომასა,
დაწვლილებით და გულ-დასმით არჩევს სწორსა და ცდომასა,
ოქროყანელსა მგოსანსა უქებს ლექსთ ნეკტარ-წდომასა,
რთულსა საქმობას ტვირთულობს, არ დასდევს გლახ-განცხრომასა,
ეტყობა გრამმატიკითაც არ ცუდად უძღვის ,,ხვდომასა.''[2])

თუ სადმეა სამართალი, ეს ღირსია მადლობისა,
უანგარო მწერალია ჭკვიანის და გამრთობისა,
ზოლვაწეა მიმმოსობის, სახიობის მოწყობისა,
არ აკლებს წიგნს სხვა ენასაც საცნობ-სათხრობ-სატყობისა,
ნელა დადის, ნელა ამბობს, არა სწამს-რა ,,ჩემობისა'';
ის შვილია მოლექსისა, მომსწრის სხვა-და-სხვა ყოფისა.[3])

ი

ირჩია წმინდა საგანი ამ დროს ღირს შესაფერია,

---

[1]) ზაუელი (იგივე შ. მღვიმელი).
[2]) თედორე (ყორდანია).
[3]) თუმანისშვილი (გიორგი).

აღზრდას მოელის ამისგან ჭირ-გადახდილი ერია,
ჟურნებას უმეცრებისას სამშობლოს ნაშვიერია;
ოტებაშიდაც მარჯვეა, თუ რომ მოუხდა მტერია;
ბევრად გარჯილა ყრმათათვის, სწავლა ხელთ დაუჭერია.
სულ ყველა გამოსადეგი, რაც რამე დაუწერია.[1])

* † იცის რაც უნდა, მაგრამა არ იცის რაც სანდომია;
ვერ აცხრობს თავსა და გულსა, რომ მათში მუდამ ომია,
ავ-კარგი ყოფის უნახავს, თუმც მათს სჯულს ვერ მისწვდომია,
ნიჭსა და ჭკუას ასაქმებს, თუ გრძნობას შემოსწყრომია,
ენანვის ბევრი წასულიც... დღეს რომ უმცხვარი ცომია,
საქმნელი ბევრი შეეძლო, მაგრამ გზა-შენაცდომია![2])

(ივ. 1891. N 146

† იწყება ამ დროს მწერლობა ამის აკვანში რწებითა,
ვერ შეხვდენ, თუმცა, მაშინაც ახალ-მწერალნი ქებითა,
არ ზოგეს მისი გულ-წრფელი ნაცადი მათრახებითა,
ნაღვლად გადექცა იმედი ,,ცისკრისა'' არ თენებითა,
ემთხვია სხვაცა ავდარი, მწვიმარი დაბრკოლებითა,
სამართალია ვმადლობდეთ წინაპრულითა მცნებითა.[3])

იმას ვერა გავს ვერავინ გრძნობის მცოცხლები მწერალი,
ლომია ოდეს განრისხდეს მარად ძმობისა მღერალი,
იტყვის მართალს და გზიანსა უპყრია მართლის მწვერვალი,
არის გულ-წრფელი, ზნე-ქველი, მხნე-მსრბოლი, მოუფერალი![4])

[1]) იაკობს (გოგებაშვილს).
[2]) ივანეს (ბაგრატიონ მუხრან-ბატონს).
[3]) ივანეს (კერესელიძეს).
[4]) ილია (ჭავჭავაძე). როგორც მკითხველს მოეხსენება, ეს ის ზმაკიდურია, რომელიც თითზე დაისვია ბ. ივ. მაჩაბელმა და ისეთი სუსხიანი ბრალშიურა გამოსცა კიდეც ილიას წინააღმდეგ ამ ზმაკიდურზე აშენებული.

(ივერია 1891 N 147)

ისტორიას ხილად სწერდა, ნეტა საით გაიპარა?
ნეტა თუ სწერს სხვა უფრო სრულს, ან თუ, რაც სთქვა, ის იკმარა?
განგებ ჰქმნა, თუ მოუვიდა დადუმება ასე ჩქარა?
იქმნება, რომ ძველთა წიგნთა ჩხრეკა-ძებნა შეეზარა!
ლამაზად კი გამოკრებდა, გვიამბობდა წყნარა-წყნარა.
ორივ სჯობდა, თვარა, ეგებ წერა ძმასაც დაუბარა![1])

იქა-აქა მიმომსვლელი, იქა-აქა მწერალია,
ორს ენაზე, თუნდ სამზედაც შემწყობი, შემკერალია,
ნიადაგსა ნურას მოსთხოვ, იშტა-იშტა მღერალია,
ახალ-მწერალთ ყოფის მკრები, ძველთა თარგმნით მბერალია.[2])

(1891 „ივ" N

იწდია ევროპიელთა გრძნობა-აზრისა ნაქმნარი,
ოლიმპიელთა მგოსანთა ქართულად უწყო მან ქნარი,
სთარგმნა ლექსითა არ ცუდით მათი ღრმა მონასაგნარი,
ერიდა ძნელსა—კარგიც ქმნა—ვაზობას ვერ იქმს ხომ მდგნარი!
ბუმბერაზ-პოეტს მოსტაცა ცრემლი, ვით ტყვია გამდნარი,
სევდა-განწირვის გრიგალიც „ჩაილდის" კვნესით ამტყდარი![3])

(ივერია 1891. N 14

პ.

* ძუკუნახია სახითა, თუმც ვითამ, განათეთრია:
არ ვიცით დღემდის სად, როგორ და ვისთან შემოგვეთრია,
„ლეკურ-კაბათი", ცუნდრუკით, მსგავსივე შეიხვედრია!
იღვწიდა, თურმე, ზურგს უკან, განზე... სხვა მისახვედრია!...
სეტყვავდა კოხად სიტყვასა, რომ გაეკვირვა პეტრია*).
ტვინსა და ზნესა მოძმეთა ჭირად შეჰყარა კეთრია,

---

[1]) ინგილო (ჯანაშვილი დიმიტრი).
[2]) ოთა (მეუნარგია).
[3]) იოსებს (ბაქრაძეს).
*) პეტრია ე. ი. სალხი.

რიგს შეაფურთხა, კანონსაც უქმნა ხუნდი და ,,შეტრია''!
აილო ციხე, დაკეტა შიგ ,,საქონელი'' ,,თეთრია'',
ტორით, მუჭით და ,,მუხრუჭით'' დამხვდომნი ,,გამოეტრია''!...
ეს საქმე მშობლის, სამშობლოს და სკოლის დასაყვედრია!...[1])

ქეთილსა მოვლინებასა ვხედავთ ამისა შრომითა,
აზრის, გონების მუშაკი სწერს ამ დროს გზის მიხვდომითა,
ტვინის მოსაქმე არ კარგავს ერთს წუთსაც ცუდ განცხრომითა,
ოხრად ნიჭს არ ლევს ზოგივით წალმა-უკულმა ხტომითა.[2])

ქისკასად სწერს სხვის ენაზედ, თავისაზედ რა გინდარად,
ერკემალის რჩოლით ურქენს, ვისაც არ სცნობს მის მომხმარად,
ზოგჯერ ჰკიცხავს ,,სხვების ენით'', ზოგჯერ კი სჩანს მაღინდარად,
ერთს მტერსა კრავს, ასს თავის თავს, მით არს მარად განამწარად,
ლელვის იგავს თვით გვაგონებს, სხვებს კი ყველას რაცხავს მცდარად,
იმას ვერას ვერ შეასმენს—შოთაც მისცე წინამძღვარად.[3])

(ივერია, 1891. N152

ქრებულთა შორის რჩეულთა სდგას შეუპოვრად მდგომელი!
იბრძვის მამაცად, ერთგულად, დღისით და ღამით მშრომელი,

---

1) კალისტრატე (ჩიკვაიძე).
2) კატო (ეკატ. გაბაშვილისა).
3) კეზელი.

რაც გითხრას, ყველა გჯეროდეს—სიმართლე არის მხდომელი;
ITვირთავს უგლიმთ წყინებას მეტყველი დაუშრომელი,
ლიქნის მდევნელი პირ-და-პირ, მსაჯული მიუდგომელი,
ერის ტკივილით მოწყლული სდუღს ღვაწლებ-დაუცხრომელი.[1])

(ივ. 1891)

ქარგი მცოდნეა ძველისა სამწიგნობროსა ენისა,
,,ONიქსის დაცმით მოლექსე, შემზიარები სმენისა,
ლექს-შემფერადი ,,შეძერწით'' ,,იამბიკურად'' მშვენისა,
,,ხუნდის ხმის მგალობელია, ,,კოლოს'' მგმობელი ,,წყენისა;''
,,IIაკინთ ასხმით'' მთხზველია, მბრძოლი ,,ქართულის ხდენისა,''
დიდ ,,ავქსონთ'' ჰბაძავს ,,აღნაქვსით'', მორიდი ,,გარდაცდენისა,''
,,ეფრატად თხრობის მომწონე—,,ნილოსად'' სიტყვის დენისა,
,,ლIქნით'' ქებისა უკადრი,—მადიდებელი ,,ზენისა.''[2])

(იქვეა" 1891 ნ

* ქაცად, ვაჟკაცად, მამაცად, მწერლადაც მოსაწონია,
OIდეს რა დაეჭირვება,—ყოველგან იცის ფონია;
სიტყვა ძლიერი, მოჭრილი, საამო გასაგონია,
ტვირთ-მოზიარე მოძმეთა, უცხო მხრით მოსაფონია,
ალაგის, დროსი მიმხვდომი, თუ სად რა მოსალონია,
ნაღვაწის ფხიზლად მხედველი, მართლის სასწორით მწონია;
ტვინ-ნავარჯიში სწავლითა, გრძნობათაც წმინდათ მქონი—ა;
IIმის ნათქვამი, ნაქმნარი არ ცუდათ ჩასაროონია,
ნანგრევზე ახალს აშენებს, არჩევს რაც გარემონი—ა,
ეტრფის მამულსა, სამშობლოს სურს ყავდეს ,,საგმირონია!''[3])

---

[1]) კირილე (ლორთქიფანიძე).

[2]) კოლხიდელი (ფსევდონიმი უგ. თავ. გესერულ-ოტ-ინფანტერიის გრიგოლ ლეკანის ძე დადიანისა).

[3]) კონსტანტინე (მამაცაშვილი).

ლ

ლუკმა-პურის ნატროულსა გლეხთა ყოფას ხატავს მართლად,
ოხერ-ტიალს, უბადრუკსა, უმეცარსა აღსწერს ნათლად,
მათთვის გულსა აგატკივებს, სულს აღგიძრავს მათ სამართ-
ლად,
ათქმევინებს თავის ენით თავის ვარამს საწყალს საწყლად,
უპატრონოს ტლუ-ბიჭს შენ წინ ცოცხლად მეტყველს დაგი-
ყენებს,
რაცა უჭირს, რაც აწუხებს დღე და ღამე არ ასვენებს,
სულ შეგჩივლებს მისი პირით, შენც მათს ქერქში ჩაგაყენებს,
ამით მოგწყლავს, გულსა დაგწვავს, კაცის სამღვთო ვალს
გახსენებს[1])

(03. 1891. N156

* ლეღვსავითა კაცს ტყავებდა, მათს ნართმევს რომ ხვეტ-
და ხვავად,
უმართლოსა ამართლებდა სხვათ საბრიყვად, სანახავად,
არ ირცხვოდა ხსენებაში ავის კარგად, კარგის ავად,
რძეში ნაღველს აწურავდა ძმისა ძმასთან შესაკლავად;
სიყრმიდგანვე ეწყობოდა სიმართლისა გასამკლავად,
აქამდის რომ ფეხად იყო, აწ მალაყით გახდა თავად,
ბევრს სხვა ღონეს ,,ძმა-ბიჭიცა'' წართო ღარმე ზედ-სათავად;
სხვა ,,საჭიროდ'' მტრელად ლიქნის, ხელ-ქვეშეთთა დამზერს
ზვავად.[2])

მ

მცოდნეც არის და მგრძნობელიც ქვეყნის წინ თვისის
ვალისა
აყოლ-დაყოლით არა სჯის, არც ,,მნაყველია წყალისა,''

[1]) ლოძაურსა (ნიკოს)
[2]) ლუარსაბს (ლოლუას).

Იცის რა თქვას და რა სწეროს, მიმწდომი სამართალისა,
Არაფერს შვრება ,,მოდითა,'' მძებნელი საცნო კვალისა;
Შიგ-ჭვრეტით იკვლევს საგანსა, საბჭობსა, საცილობელსა,
Ვერ გმობს საქებელს მტრისასაც, ვერც აქებს თვისს საგმობელსა,
Იწყალებს საწყალს, ავს რისხავს, მსახურებს მხარეს მშობელსა,
ლიტონად, ცოცხლად გიამბობს ,,მარად დღის'' მწვავ-სათხრობელსა.[1])

(03. 1891. N

† Მამა-პაპათ სისხლით მორწყულს სამშობლოსა რომ უგალობს,
Არად წაჰკვირს მოშაირეს, რომ თვით ბედი არა სწყალობს,
Მამულისთვის მოკვდეს მზა—ა, მისთვის მწიროობს, მისთვის წვალობს,
Იმედს უმზერს მომავალში, აწმყოს მოთქვამს და ვალალობს.
Არას ზოგავს მის სანაცვლოდ... ზოგჯერ კიდეც გარდამავლობს!
Საგნად უჩანს ენა, ერი, ვისგანც იგი ჩამომავლობს.[2])

(03. 1891. N 15

Მეკეთა მისი ნაწერი ენა მჭარტალი, გზიანი;
Არგებს და ართობს მკითხველსა მკვირცხლი კალამი ფხიანი;
ჩინებულ ჰაზრთა შეზავა რჩევანი მომავლიანი;
ხახამ-ტერტერთა, მოვახშეთ დაუწყო ძაღლის სიანი,
Აწყო ქნარიც მკრინავი, გულ-მწყვლელი, ტურფა ხმიანი.

---

[1]) მაიაშვილი (გიორგი—ფსევდონიმი).

[2]) მამიას. საკვირველი იყო, რომ ეს ზმაკიდური სწორედ იმ დღეს იყო ,,ივერიაზ''-ში დაბეჭდილი, რა დღესაც მამია გარდაიცვალა, ასე რომ ამ ცხოვრებისგან ,,განაწამებს'' მგოსანს ამ სანუგეშო მაზედ ,,თქმის'' გაგონებაც ადარ ეღირსა.

ნელა მიფრინავს კამარას მისი ჰაზრები ფრთიანი.
ემორჩილება ეშხ-გრძნობათ, თუმც თანავე—ა ჭკვიანი,
ლიქნა სძულს, პირში თქმა უყვარს, სწორი, ნათელი მზიანი.[1])

(1891. N 160, 03.)

მატიანისა მრკვევლებში არ უამაგო პირია;
თითოს და თითოს რამესა სურს მოუძებნოს ძირია,
ვერ ვიტყვი საერთოშიდაც ცუდათ ეჭიროს ჩხირია,
არც მარტო ცეცებით იგნებს, რის დასკვნაც გასაჭირია,
რიგს არ გადუხვევს, გულ-დასმით უზის, რაც დასაკვირია,
ერის-მშობელის ნაღვაწთა წინ უდევს განძი ძვირია;
ლარნაკი, ზარქაშ-ნაქარგი, ფესვედი დიდ-საღირია,
იკვლიოს, იცნოს, გვაცნობოს,—ეს მისგან შენაპირია[2]).

(03. 1891. N 158)

* მკვირცხლია ჭკუით, ენითაც სხაპა-სხუპითა მთქმელია,
ირიბად რომ არ ვიდოდეს, ნიჭითაც შემძლებელია,
ხერხიც კი იცის სად უნდა, სად მოსახერხებელია,
არ დასდევს სხვისას, სიყრმითგან თავის ნებაზედ მსვლელია,
იცის ქვეყნისა სუსტი ზნე,—თვით-რჯულობისა მქმნელია,
ლაღად, ბოროტიკით ნაზარდი სურვილი.... ასე ძნელია![3])

მიჯნურია ისტორიის, მატიანის ტრფიალია,
ოპიზართა სარჩიელსა ბევრი ლონე შეალია,
საკითხავი ბევრი აღძრა, ბევრი წერა, ბევრი ხია;
ეტყობა რომ ფრთხილობს, არჩევს მრუდია თუ მართალია.[4])

---

[1]) მაჩხანელი (ფსევდონიმი).
[2]) მთვარელი (შვილი ნიკოლოზ).
[3]) მიხაილ (დარახველიძე).
[4]) მოსე (ჯანაშვილი).

(03. 1891. N 159)

ნ

† ნამუსიანი მშრომელი ყველასგან მოსაწონია,
აძლევს უშურვლად მოზარდთა, რაც შრომით მას უშოვნია,
თესლსა ავ-კარგის ცნობისას არიგებს სწავლის მკონია,
ახსოვს ნამცნები სიბრძნისა სურვილით შენაგონია:
ძალი სწავლისა მადლია, ტვირთ-მძიმეთ მოსაფონია,
ერმა სცნას, ენდოს, ითვისოს—მერმისის იყოს მქონია![1])

(ივ. 1891. ნ. N

ნარდში დუშაში შეხვდა და ჯაფა-სარჯელში—ფონება,
აქამდის აზრსა არჩევდა, აწ უნდა სინჯოს ქონება;
ლიტრა-ქსანით და ალაბით ხვდა ქალაქ-სოფლად რონება,
იფნის ადლს მადლი კალმისა არა აქვს, არც ექონება.[2])

(ივ. 1891. N 164.)

ნარკვევი, ნაჭირნახული ამხელს შრომასა გზიანსა,
ალზრდა-სწავლების მეშველი სხლავს ვაზსა ბალახ-ტყიანსა,
სვრელსა მიმარგლის მომჭირნედ ავ-სამარგლელსა, ქვიანსა,
იკრებს იარაღს, მასალას, წიგნებს სწერს განგებიანსა;
ძნელს შედგომია საქმესა, მაგრამ დიდს, მომავლიანსა,
ესწრაფვის დღესა ცოდნისას—ნათელსა, ტკბილსა, მზიანსა.[3])

(ივ. 1891. N 1

ნამწერლარობას ვერ ვკადრებ, თუმც არ სწერს დიდი ხანია,
იყო მწერლადაც, მაგრამ სხვებს ვერ ააყოლა ბანია,

---

[1]) ნათაძე (შედაგოგი).
[2]) ნა—ლი (ფსევდონიმი).
[3]) ნასიძე (შედაგოგი).

კანონს მიენდო,—მოუხდა, ყოველგან წაიძღვანია,
ოქმებიც წერა, დავთრებიც, სიებიც ჩაიტანია.
ლარსაც მოუჯდა მოლარედ,—ვერ აყრევინა ტანია!
ორ-ლობეს ჩადგა მას აქეთ, მუნ გაიჩინა გზანია,
ზემო და ქვემო მიმოვლო „მინდორი, კლდე-კაპანია;“
სულ ღიმის, ფიქრობს თუ როგორ ოქროდ აქციოს ქვანია.[1])

ნურას მკითხავ ამ კაცისას საამბობელს, მოსათხრობელს,
ის რომ არის, ღმერთმა მოგცეს—გასახელებს, დაგაშვენებს,
ძლდესა დალეწს, ზღვას გააპობს, თვით ეშმაკსაც გააჭენებს,
ორპირ მახვილს მედგრად იქნევს,—ხან მტრებს კოდავს, ხან
თვისკენებს.
ლამაზათ სწერს, მძვინვარედ გმობს, ზარ-დაცემით შეაჩვენებს,
ალმასისა გველის სახეთ თავს კუპრ-ცეცხლად მოვაჩვენებს,
ძვირად ნახავ დადგრომილსა, სულ მიდმოებს, არ ისვენებს,
ერთხელ სწერდა თვისს ენაზე, ახლა?.. ახლაც ახსოვს ჩვენებს!..[2])

ნარნარების მომღერალი, ტკბილი ნატვრის მგოსანია,
იწუნებს და ეტევება, რაც ცუდი და უმგვანია,
ნარგიზსა და ვარდს მოლექსობს, ხან ეშხს აძლევს სოსან—ია,
ოხვრაც შვენის, ჭმუნვა-სევდაც, რადგან მანდილოსანია.[3])

ო

ორფად შემდგარი, მრჩობლ-კეცი ხმა-დასაწყისი, წოდია,

---

1) ნიკოლოზს (ლოდსბერიძეს)
2) ნიკოლაძე.
3) ნინო (ორბელიანისა)

რასაც სწერს—დაკვირებით სწერს, ფეხის ამყოლი როდია,
არც უგანგებოთ აყვედრის, თუ ვის რა შეუცოდია;
ნაკრავი მისის კალმისა არ-მცირე დანაკოდია;
იცინის არ უმარილოდ, თუ ტირის, არ ნაბოდია;
არჩევს თეატრსაც პირ-უთნოდ, სხვებრ ან რა მოსალოდია![1])

3

(„ივ." 1891 ნ.

პატიოსანი მშრომელი, დარბაისელის ენისა,
ერთგული, წყნარი მოღვაწე, შეუურყეველის რწმენისა,
ტრფიალი ხალხის თქმულების, ლექსების ტკბილ-სასმენისა,
რიგის მოყვარე მწერალი, არად ამყოლი წყენისა,
ეკუთვნის ღირსთა მუშაკთა შრომის გრძელ-მოსათმენისა,
სიყვარულითა მუშაკობს—ხალისით არ მოწყენისა.[2])



(ივ. 1891. ნ

პატენციურად მქონები არის ბევრისა ნიჭების,
ოტკოფას არ კრეფს, ვარდსა კრეფს, როს ია მოეყიჭების;
ნატრვისა ფრთითა დაფრინავს, ძირს ფეხი არ ებიჯების,
ტოლ-ამხანაგთა მოალხენს, „ზევსურად" მოენიჭების;
ოტარიდს უმღერს ხმა-ტკბილად ტურფა ლექსების ჟღერითა,
ქვეყანა მისი მშობელი უყვარს ყმითა და ბერითა,
სძაგს უგრძნობელი, უგულო სიტყვითა, თუნდა წერითა,
ეტრფის მოძმეთა გულადთა, სულ-დგმულობს თვისის ერითა,
ლომად შეხვდება ავ-გულსა, კარგს—გრძნობით ლმობიერითა:
სჯობს მზრდელი სულში იმედის—შეიმკოს ყოვლისფერითა![3])

---

[1]) ორანია (ფსევდონიმი).

[2]) პეტრეს (უმიკაშვილს).

[3]) ბონტოქსელს (ფსევდონიმია უგანათ. თავ. გიორგი მახეალის ძის შერვაშიძისა).

პატარობითვე სამშობლოს ენისა იყო ტრფიალი;
ოარ-ძილი განვითარება რა იცნო შეჰქმნა წრტიალი,
ლელწმოვანს ტევრსა ნაწერსა გულ-დასმით უწყო-ტრიალი,
აკონა ბევრი, მაგრამ ჯერ კი ვერ აავსო ფიალი...[1])

რ

(ივერ. 1891. N 305)

რითმებ-მდიდარი ქართველი ქართულს პატრონობს წერითა,
ახალ-ძველთ საცილობელი ლექსითა შვენიერითა,
ფიქრ-მონავარდე მგოსანი მშობლურ გრძნობათა ძგერითა,
იტყვის ცხოველს და მართალსა, გულსა სძრავს სამღვთო ძგერითა,
ეალერსება მყობადსა მამა-შვილურად მზერითა,
ლექსთა-კონებიც შეგვიკრა მხცოვანმა შრომით ბევრითა.[2])

ს

(ივერ. 1891 წ., N 171)

* სულით, სხეულით, გონებით საბუმბერაზოდ ქმნილია:
არ უდრეკს ფაფარს არავის,—ცოდნითა დალოცვილია,
მიწყივ მუშაობს, აკეთებს,—თვისს ღვაწლში გამოცდილია,
სარგოს, სალხენს და საკურნებს სდგამს, არჩენს ვინც დაგლილია,
ომშია უმეცრებასთან, სწავლაში ფრთა გაშლილია,
ნაღველს და ნაცილს არ უფრთხის, მტკიცე მამულის შვილია![3])

(ივ. 1891. N 172)

სწავლების ღვაწლი უკვდავი თანა-სდევს ამისს სახელსა;

---

1) ბოლა (ეკიცარიძე).
2) რაფიელ (ერისთავი).
3) სამსონ (თოფურია).

არ ზოგავს მისთვის ქონებას, სიმრთელეს, თავსა და ხელსა,
მტკიცედ მიმავლობს, ახოვნად მას ეკლიანსა გზას ძნელსა;
საწერსაც ასწრებს, საქმნელსაც, არცა მოცდება სათქმელსა,
ორძილობს სწავლა მის ხელში, ახარებს ყველა მნახველსა;
ნეტავი ბევრმა წაბაძოს ამ კეთილისა მსახველსა! [1])

სარბიელს ვრცელს გამოსულა,—შინ და გარეთ ითვალყუროს,
არც ცუდად წერს, არც ცოტას გმერს, თუნდ რომ ბევრიც მოემდუროს,
ნაღვლობს, შიშობს, ხან ნუგეშობს, ხან ტუქსუნობს, ხან სცემს ურეს,
ო და,—ჩვენცა მოვუწონოთ, აგრე იყოს, იმსახუროს.[2])

---

* საიასალო კაცია, ზრდილი და გულ-კეთილია,
ვერ გაიმეტებს ვერც მტერსა სამტეროდ,—ისე ტკბილია,
იმ ერთსა საქმეს ვერ ვუქებ... ერთობ, ნამეტნად რბილია,
მაგრამ მცოდნეა ამ ყოფის, კანონშიც გამოცდილია,
ოხრად და ძალად არას იქმს, ამაში მეტად ფრთხილია...
ნდომით, გულით და სურვილით—სწორედ მამულის შვილია.[3])

სიტყვა წყლიანი მოლექსე, ტურფა შაირის მთქმელია,
ვერას მოძებნი მისს თქმულში, რაც ენის ურჩად მშლელია,
იმისი კილო მშობლური ამოთ გრძნობათა მძვრელია,
მდოვრი, მარტივი, დიადი, დროზე მჩქროლები, ცხელია,

---

[1]) სამსოან (ყიფიანი).
[2]) სანო. (ფსეგდონიმი)
[3]) სვიმონ (წერეთელი)

Ოგბოლ ტრფიალთა გვემითა მსმენელთა გულთა მწყვლელია,
ნაოხართ მუხთლის სოფლისა შენ წინა დამხატველია![1])

(ივერ. 1891. № 206)

საგრძნობელი წერა იცის, ღირს საგანთა არჩევაცა,
ეტყვის მარჯვედ სიმართლესა, თუნდ აღიძრას ქვეყნის ყბაცა,
ლესავს მახვილს საპაექროს, მისდევს, ვისიც უნდა კრვაცა;
ოღრო-ჩოღრო ღრამატიკის მოინდომა გარდაქმნაცა,
ვაკელ-მთიელ-წყლის-პირელსა გაუჩინა უცხო ზმნაცა;
აეშალენ, მაგრამ თვითცა აამაღლა თვისი ხმაცა;
ნუსხა-ნარქმევთ ახალ-ძველთა აღწერა და შემოგვძღვნაცა;
ერის მოძღვარს ეროვნისთვის უნდა ყავდეს მამაც, ძმაცა.[2])

(ივ. 1891. № 207)

სხვას ბევრს სჯობს საგნის არჩევით საწერად მოსათხრობელად,
ოღონდ ძვირად სწერს, და თუ სწერს არც მარტო გასართობელად,
ფიქრი და აზრი მართალი მიუძღვის ცხად საცნობელად,
რიტორებასა არ ხმაროობს ძნელი-კითხვათ მოსადნობელად,
ოცნებას არ სდევს,—საქმე უჩნს, თვით საქმე ხელ-საყოფელად,
მწვავსა გრძნობასა ნამდვილსა ჰყავს ღაღადისად, მბჭობელად,
საამო ენის, ქართულის, გვწადს იყოს უფრო მფლობელად,
ახლის და ძველის შემდარად, შემკაზმად, შემაწყობელად.[3])

(ივ. 1891. № 174)

ტურფად სთარგმნის, მჩატე ენით, საამოა საკითხავად,

---

1) სვიმონ (გუგუნავა)
2) სილოვანე (ხუნდაძე).
3) სოფრომსა (მგალობლიშვილს).

არჩევაცა მარჯვედ იცის ჭკუა-გრძნობა შენაზავად,
სიცოცხლე და სიმარტივე მისს ნაწერს აქვს მოსართავად,
ოლონდ წერას მოუმატოს, სათარგმნათ ხვდეს, თუ სათხზავად.[1])

(„ივერიაში" 1891 წ.

უ

უგულო თავის კერძობას ამან სცა ჰაზრის მახვილი,
„მრწამსი კუჭისა" ამხილა და მისი ნაკოდ-ნაბრძვილი,
წრფელის გრძნობითა გამოთქვა ლექსი ძმობისა ნამდვილი,
იწვია მწყობრი წინ-მსვლელთა თან ბანი, თან მოზახილი.
ფეხ-და-ფეხ მისდევს ვარსკვლავსა, ცოდნის სინათლის მკრთოველსა,
ახალი აღთქმის მნიშნებსა გამოხსნის მახაროებელსა,
რიჟრაჟსა განათლებისას, უმეცრებისა მქროებელსა,
იცის რომ შვება და შველა მოაქვს ამათსა მცნობელსა,
ძალსა და ღონეს უერთებს თვით მადლსა მისსა მკობელსა,
ებრძვის ბნელსა და სიავეს, ეტრფის ქვეყანას მშობელსა.[2])

(ივ. 1891 წ.

უთავბოლოს არას დასწერს, ან უმეცრულს, ან უჯეროს;
რიგსა და წესს ერის ნაქონს ისტორია სურს უწეროს,
ბევრს არა სწერს, მაგრამ მართალს, არ იფიქრო მოგეფეროს;
ნელა იკვლევს, ფეხს მტკიცედ დგამს.—რაც მას ჯერა, შენც გეჯეროს.—
ებრძვის ტყუილს შენაპარებს მწერლობაში მონაგონებს,
ლაღთა ლაგმავს სჯულის დებით, მიმძლავრებულთ მოუფონებს,
იწყენს ავსა, მაგრამ ზოგჯერ, კარგსაც სრულად არ იწონებს,
ამას, ვეჭობ, აღარ იზამს, როს „ძეგლს" ძეგლსა შეაწონებს.[3])

(ივ 1891.

[1]) ტასო (ანასტ. თუმანიშვილი—წერეთლისა).
[2]) უმწეოვრიძე (უწინდელი ფსევდონიმი გრ. ვოლსკისა).
[3]) ურბნელი (ფსევდონიმი). = ნ. ნიბანაშვილი.

ფ

ფუძეებიანთ, საეროთ საგანთ ეხება ჭკვიანად,
რასაცა იტყვის—მიგნებულს, რიგიანად და ფხიანად,
ორმაგ სარჩიელთ რკვევაში აზრსა გამოსთქვამს გზიანად,
ნატრვის მაგიერ შრომასა გვირჩევს საერთოდ, მთლიანად,
ეძებს რიცხვთ, საქმის არსებას, განგვიფენს განგებიანად,
ლიხთ ამერ-იმერს სვრელებსა ურიგებს სამართლიანად.[1])

(ივ. 1891. N 204)

ფარ-ხმალ-ზუჩით მოკაზმული მთებსა დამღერს ლექსს მდუღარეს,
შეაქვს უცხო, მწვედი კილო,—მით აღვიძებს არე-მარეს;
აქვს ის მადლი სიახლისა, მიხვდეს ერის საგრძნო მხარეს,
ვერ ვიტყვი ვერ გამოეთქვას, რაც მას თემთა უზიარეს.
ერში პოვებს მისს ძალ-ღონეს, მისს საუნჯეს, მისს მომხმარეს,
ლალ-იაგუნდს მთაში ბოჭავს,—იქ ბერს უსმენს მოუბარეს,
აღგზნებული გმირთა ამბით ლექსებს აწყობს ხმა-მქუხარეს,
სიმთა ჟღერა ჯერ ტკბილი აქვს, თუ სხვა აბჯართ არ დასჩხარეს.[2])

(ივ. 1893. N 178)

ღ

ღადარინის სასწაულსა მოგვაგონებს ერთობ ხშირად,
აღსავალთა მარჯვედ ჰგალობს, თვითაც ადის გასაკვირად,
მიმოქცევა დროზედ იცის—ხან ჩუმად და ხან ზეპირად,
ბევრს მეტყველებს, ბევრს აჭრელებს, თუმცა ნაყოფს ისხამს ძვირად.
ახირება მეტად უყვარს—აჩემება სხვისდა ჭირად:

---

1) ფრონელი (ფსეუდონიმი) = ალ. ყიფშიძე
2) ფშავგელა (ვაჟა, ფსეუდ.) = რ. ჩანიკაშვილი.

შფოთავს, ბორგავს, კილისკილობს, მეტოქეს ბრძავს თავ-და-
პირად.
იგესლება მეზობლურად, იყვედრება გასაწირად,
ძმგლსა იდგამს ლალვისასა გულის-თქმის წინ შესაწირად. [1])

(„ივერია" 1891

ღარიბს საყრმო მწერლობაში ტურფა წიგნი შემოქონდა,
შლონობას არ იმჩნევდა—სვრელი გაქონდ-გამოქონდა,
ლამაზობით, ნახატობით მსგავს წიგნთ ერთად მოიწონდა,
ამბით, ცნობით, არაკობით მოლალობდა, ფერად-ჰკონდა;—
ძირი ღარში რომ ჩაეგდო,—საქმე დიად კარგი ჰქონდა!..
ეკლიანს გზას მარტო მსვლელი, განაღამცა დაგვიღონდა.[2])

(ივერია 1891.

ყ

† ყურსაც გიტკბობს, გულსაც გითბობს, რომ კითხუ-
ლობ მისს ნაწერსა,
არას გეტყვის ნამეტანსა, შერეულსა, შეუფერსა;
ზრზოლას მოგგვრის საცა უნდა, შეგატაკებს მედგრად მტერსა,
იცის სულის კვეთებანი რას შეამთხვევს ყმას და ბერსა.
ბუნებისა წესსა გასმენს, სამარადისა ხმას ძლიერსა,
ემოწმება შენი გრძნობა მოთხრობილსა მის მიერსა,
გიწვევს მოძმეთ თან ზიარად, გიფენს სურათს გულ-საგმერსა;
იდღეგრძელოს,—ენა ჰკვართოს,—თვისად შვილად ჰყავდეს
ერსა.[3])

ცა

(„ივერია" 1891.

ცის ლაჟვარდსა, მთა და ველსა მუზთა ენით შელაღადებს,
ამკობს ტურფას სამშობლოსა, ახალ გმირთა ხალხს უცხადებს,

---

1) ლამბაშიძე.
2) ღულაძე („ნობათის" რედაქტორი) = ანრეი ლუნაჩარსკი
3) ეაზიბეგი.

ხან ყრმათაცა ჩასაგონად არ სამათო ლექსს შემზადებს,
ესწრაფება იდეალსა, ტკბილად მოსთქვამს გულის ნადებს,
ელწმოვანსა, ბუჩქნარ ხევსა მთვარიანში შენ წინ ბადებს,
საამოდ სწერს, სამუსიკოდ, თუ მერმისად გააკვლადებს.[1])

(„ივ." 1891. № 182)

ვ

წარმატებისა მიმდევი, ასაჯაროებს სწავლასა,
ქოველს მოვლენას ყურს უგდებს—ვერ-რა მოასწრებს გავ-
ლასა—
აქეთაც ზომავს, იქითაც—ყველას უპირებს მტკავლასა,
ილიფარივით უყურებს ცოდნის ვარსკვლავის წარვლასა;
ტომსა და ენას არ უკმევს ცრუ საკმელისა სუნნელსა,
ურცხვ ჩემებითა არ სცდება,—სულ ზრუნავს თვისს საზრუ-
ნელსა,
ბევრად არ აქებს ბულბულსაც, მეტად აძაგებს თხუნელსა,
ერჩევა თავის ტოლებში, ბრძავს უმეცრებას უნელსა,
ახტსა ალექსებს მავნესა, სდევნის აზრს მოსაცდუნელსა,
სხვებრ ზოგჯერ, თუ ვსთქვა, ამასაც ბევრს ვამჩნევთ დასაწუ-
ნელსა.[2])

(„ივ." 1891, № 183)

ჭ

ჭირის და ლხინის ტალკვესი ქართველისათვის ლექსია,
ამით მოსთქვამს და მოილხენს—ეს მისი ყოფის წესია!
ამპრად მგზებარე ტალანტი ამ კაცში ცას უთესია,
ამხედრებული პეჰასზე არავის უდარესია,
დრო-შეხამებით მოლექსე საერო გრძნობის მკვნესია;

---

[1]) ცასელს (ფსევდ.)
[2]) წყალტუბელს (ფსევდონიმია).

[illegible]!

Იმღერა სევდა-რეულად, საგანი წმიდა, ზესია!
Დადუმდა უცებ; გავკვირდით, ვსთქვით: რა ქმნა, რა წაესია?
Ეწვია სენი მოშლისა? Თუ აწ სთქვას უკეთესია,
Ლამაზი, ტურფა შაირი, ხომ ხნითაც აწ უბრძნესია!..
Იტყვის, ველოდეთ: პოეტის ხომ გული თავს უმძლესია![1])

(ივ. 1891.

Ჯაშნიკებს ნაწერებისას ფრანგთა ქვეყნიდან გვაწვდიდა,
Ყურსა უგდებდა ჩვენს ავ-კარგს, საკამათოშიც თავს ცდიდა.
Ოლრ-პირად მწერლებს ებრძოდა ,,მაჭახელასა'' ახლიდა,
Ნამეტნაობას ჰკიცხავდა, ცრუ სიბრძნეს ნილაბს აცლიდა,
Იგვიანებდა წერაში, მაგრამ თვის აზრსა არ სცვლიდა;
Აწ ვსცანთ ძვირფასის ,,ნარკვევით,'' თუ მამულს რა განძს უძღვნიდა![2])

Ჯ

(ივ. 1891

Ჯორს რომ ჰგავს „უცილობლობით"—ყველა ჰკითხულობს: „ვინაო?"
Არ ვიცით, სხვის წინ, სხვა ენით საიდგან მოირბინაო;
Ბევრს უცხოს უცხოდ შეაქცევს,—თავისას ბევრს უკბინაო,
Არც დროს დაგიდევს, არც ადგილს, არც კაცს—„ვინ გააჩინაო?"
Დაამცრო დიდი რაც გვქონდა და წმინდა შეგვიგინაო,
Არც ერი იცნო, არც ენა, არც ისტორიის ბინაო,
Რეგვნად ჩაგდო სულ-ყველა, არც რუსთველს უშვებს წინაო...
Სვრასა გვექადის შინაო, გარეთაც შეგვარცხვინაო![3])

(ივ. 1891.

---

1) ჭალადიდელი (ფსევდ.)
2) ჭეონია (ალექს.)
3) ჯაბადარს (ავტორს „Письма о Грузіи". სას).

ჭ

ჰო, მოიცა, მომაგონდა ის მოცელქო კალამიცა;
ორცხობილას სხარტად სწერდა, ქვემოდ ეპყრა ალამიცა,
,,ელანძე'' არ შესდგებოდა, თუნდ ენახა წინ ხრამიცა...
სადღაც უცებ მიეფარა, თუ მოსძებნა სხვა სკამიცა?! [2])

(ივ. 1891 N 210)

---

[2]) ჭოჟ-ს (ფსევდ.).

894.63
ę 137

☛ ფასი სამი შაური. ☚